ხელშეკრულება №183-5

ქ. თბილისი 21 დეკემბერი, 2011 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში *„შემსყიდველი"*), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით,

და მეორე მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო" (შემდგომში – *„მიმწოდებელი"*), წარმოდგენილი მისი უფროსის შალვა ჯავახაძის სახით,

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წინამდებარე საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მომსახურების (ამინდის პროგნოზირება, კლასიფიკატორის №71351600). (შემდგომში – „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა.

1.2 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ პროგნოზტიკული მეტეოროლოგიური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და შემსყიდველისათვის ყოველდღიური გადაცემა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან. შესყიდვის ობიექტების შემოწმების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული შესყიდვის ობიექტების შეცვლა.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ხათუნა ბერიძენიშვილი.

2.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და მათი მონაწილეობა შესყიდვის განხორციელების პროცესში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ხორციელდება 2012 წლის 01 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ელექტრონულ ფოსტაზე: news@gpb.ge დღის 12 საათამდე.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინფორმაციის მომზადებასა და მიწოდებაზე პასუხისმგებელია სააგენტოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტი (რამაზ ჭითანავა).

3.4. გაწეული მომსახურების მიღება დასტურდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაფორმებული მიღება – ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (სააგანტოს მხრიდან ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენის უფროსი რ. ჭითანავა და სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" მხრიდან – გენერალური დირექტორი, გიორგი ჭანტურია).

მუხლი 4. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 19 800 (ცხრამეტი ათას რვაასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. ყოველთვიური მომსახურების ღირებულება შეადგენს 1 650 (ერთი ათას ექვსას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4.3 მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

4.4. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, მიღება - ჩაბარების აქტზე ორმხრივი ხელმოწერიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, კერძოდ საგადასახადო ანგარიშ - ფაქტურა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 5. მხარეთა უფლება - მოვალეობები

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაცია გააკრცელოს სატელევიზიო ეთერით, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

ბ) მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაცია განათავსოს საკუთარ ვებ-გვერდზე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში.

გ) მიიღოს მიმწოდებლისაგან ხარისხიანი პროდუქცია.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება;

ბ) არ მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალიწინებული ინფორმაციის მესამე პირისათვის გადაცემა;

გ) მიმწოდებლისაგან მიღებული ინფორმაციის ტექნოლოგიური პარამეტრები სატელევიზიო ეთერით გაავრცელოს უცვლელად;

დ) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალიწინებული ინფორმაციის ყოველი სატელევიზიო ეთერით გავრცელებისას და ვებ-გვერდზე განთავსებისას დააფიქსიროს მიმწოდებლის სახელწოდება (საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო")

5.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალიწინებული პირობების შესაბამისად;

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს შემდეგი სახის ინფორმაცია:

ა) დღის ფაქტიური ამინდი (გასული დღე-ღამის ჰაერის ტემპერატურა, ნალექი, ქარი, სინოტივე, ატმოსფერული წნევა და ატმოსფერული მოვლენა);

ბ) მიმდინარე დღის ამინდის 12 საათიანი პროგნოზი (ჰაერის ტემპერატურა, ნალექი, ქარი, სინოტივე, ატმოსფერული წნევა და ატმოსფერული მოვლენა) საქართველოს რეგიონებისათვის (მათ შორის ზემო აფხაზეთი) ქალაქებისათვის (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ამბროლაური, ახალციხე, ბაკურიანი, გორი, ფასანაური, გუდაური, ბოლნისი და თელავი) და პუნქტებისათვის (მთა საბუეთი, ფარავანი და გენწვიში);

გ) 48 საათიანი ამინდის პროგნოზი (ჰაერის ტემპერატურა, ნალექი, ქარი, სინოტივე, ატმოსფერული წნევა და ატმოსფერული მოვლენა) საქართველოს რეგიონებისათვის (მათ შორის ზემო აფხაზეთი) ქალაქებისათვის (ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, ზუგდიდი, ქუთაისი, ამბროლაური, ახალციხე, ბაკურიანი, გორი, ფასანაური, გუდაური, ბოლნისი და თელავი) და პუნქტებისათვის (მთა საბუეთი, ფარავანი და გენწვიში);

დ) 5.4. მუხლის „ბ" და „გ" პუნქტებში მითითებული ინფორმაციის სინოპტიკური ანალიზი (რამ განაპირობა ფაქტიური ამინდი და რა განაპირობებს ამინდს მომდევნო 2 დღისათვის).
ე) მომსახურების გაწევის პერიოდში შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოჩენისას, რომელიც გამოწვეულია მიმწოდებლის მიზეზით, მოახდინოს ნაკლის გამოსწორება თავისი ხარჯით;
ვ)უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დროულად, სრულად, და ხარისხიანად შესრულება.

მუხლი 6. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;
ბ) მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათაშეუსრულებლობით;

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის (არაჯეროვნად, ნაწილობრივ, ან ვადების დარღვევით შესრულებისას) შემთხვევაში *მიმწოდებელს* ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.
7.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის (ან არაჯეროვნად შესრულების, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის) შემთხვევაში, *შემსყიდველს* ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით შეუსრულებელი ვალდებულების ყოველი დღისათვის.
7.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 8. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული *შემსყიდველისა* და/ან *მიმწოდებლის* შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. დავათა განხილვის წესი

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ზოგადი დებულებები

11.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

11.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	საქართველოს გარემოს სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №150 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 559 691
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ანგარიშის № 200 122 900 კოდი: TRESGE22	საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკის“ ცენტრალური ფილიალი ანგარიშის №GE11 PC01 3360 0100 0497 92 კოდი: MIBGGE22
გენერალური დირექტორი ..... გიორგი ჭანტურია	სააგენტოს უფროსი ..... შალვა ჯავახაძე